

საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 155¹ -ე მუხლი

2.155¹ -ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 155¹ . რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა

1. რელიგიური სიწმინდეების, რელიგიური ორგანიზაციის, ღვთისმსახურის და მორწმუნის მიმართ სიძულვილის საჯაროდ გამოხატვა ან/და ისეთი მასალის გამოქვეყნება ან ჩვენება, რაც მიზნად ისახავს მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფას, -

ისჯება ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 1 წლამდე.

2. რელიგიური შენობების და სხვა რელიგიური სიწმინდეების წაბილწვა, მასზე ნებისმიერი წარწერის გაკეთება ან დაზიანება -

ისჯება ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 წლამდე.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე